განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამა
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

17 - 18.06.2019

24.06.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206169304
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართლის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი - პირველი საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო - 0421
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ჟვანია - სამართლის დოქტორანტი; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი, მოწვეული ლექტორი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა კარტოზია - სამართლის დოქტორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის და კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი; საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი -კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი; მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში.

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ელისაბედაშვილი - კერძო აღმასრულებელი; მოწვეული ლექტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის; სამართლის დოქტორანტი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა (ფაკულტეტი) სამართლის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს 2005 წლიდან. 2009 წელს უნივერსიტეტმა გაიარა ინსტიტუციური აკრედიტაცია და პროგრამა 2009-2014 წლებში ფუნქციონირებდა ინსტიტუციური აკრედიტაციის ჭრილში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2014 წლის 25 ივნისს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #127 გადაწყვეტილებით, 5 წლის ვადით.

პროგრამამ აკრედიტაციის შემდეგ გაიარა მცირეოდენი მოდიფიკაცია, კერძოდ: განხორციელდა საკადრო ცვლილებები პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალში, პროგრამის განხორციელებაში აღარ მონაწილეობს რამდენიმე პროფესორი, აკადემიურ პერსონალს შეუერთდა და პროგრამაში ჩართულნი არიან ახალი მოწვეული სპეციალისტები.

ასევე პროგრამაში გაძლიერდა დარგთაშორისი კონცენტრაცია არჩევითი კურსებით; საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებების საფუძველზე შეიცვალა სასწავლო კურსების შეფასების წესი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტების ვიზიტი შედგა 2019 წლის 17-18 ივნისს. ექსპერტები შეხვდნენ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს, ფაკულტეტის დეკანს, ადმინისტრაციულ პერსონალს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის თვიშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 1.1 და 1.2 პუნქტები შეფასდა, როგორც შესაბამისი კანონმდებლობით დაწესებულ სტანდარტებთან. მეორე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს, რადგან 2.1; 2.2; 2.3; 2.4; 2.5 და 2.6 პუნქტები შესაბამისობაში მოდის

მოთხოვნებთან. მესამე ნაწილი შესაბამისობაშია სტანდარტებთან, რადგან 3.1 პუნქტი შეესაბამება მოთხოვნებს. მეოთხე სტანდარტის 4.1; 4.2; 4.3; 4.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ასევე მეხუთე სტანდარტი სრულად პასუხობს მოთხოვნებს, კერძოდ, 5.1; 5.2და 5.3 შეესაბამება სტანდარტებს.

- **რეკომენდაციები**

ხუთივე სტანდარტი და მათში შემავალი ყოველი კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხელმისაწვდომობა სრულად გააჩნდეს; იმისთვის, რომ სტუდენტმა სრულფასოვნად შეძლოს საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი ცოდნის მიღება, საჭიროა გაცვლითი, თუნდაც მოკლევადიანი აქტივობები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში რეალურად და არა მხოლოდ ფორმალურად იყოს უზრუნველყოფილი, სამართლის საბაკალავრო პროგრამის ყველა დარგის მიმართულებით. ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა სტუდენტების სურვილი, მონაწილოება მიიღონ გაცვლით სასწავლო პროგრამებში. მნიშვნელოვანია აღნიშნული კომპონენტის გასააქტიურებლად უსდ-ს მიერ დაიგეგმოს და განისაზღვროს კონკრეტული სტრატეგია; ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებთან; ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო თუ ადგილობრივი დონორების და კვლევითი ფონდების შესახებ, აღნიშნული ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში გაუწიოს კონსულტაცია. ასევე, უკვე არსებული ერასმუსის პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტის მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეძლონ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა განხორციელდეს რეალურად.

- საბაკალავრო პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, გაგრძელდეს პროგრამის შედეგების შეფასება და მათი გამოყენება ყოველწლიურად, გაიზარდოს სწავლის შედეგების გასაზომად მონიტორინგის სიხშირე. მეტი ობიექტური სურათის მისაღებად, სასურველია სტუდენტების მიერ პროგრამის და შედეგების შეფასება განხორციელდეს დასკვნითი გამოცდების წინ.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- პროგრამაში ინტეგრირებულია დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, როგორიცაა: “ინტერნეტ(კიბერ) სივრცის სამართალი”; “არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის თავისებურებები საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით”; “შედარებითი სამართალი პრეცედენტული მნიშვნელობის სასამართლო გადაწყვეტილებების კონტექსტში” და სხვ. დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსების გათვალისწინებით პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთჰარმონიულია და ერთმანეთს განაპირობებენ, ამავდროულად, სწავლის შედეგები ზუსტად გამომდინარეობს თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებებიდან.

- უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციასთან (სიფა), რომლის მიხედვით ხდება პროგრამის სრული ანალიზი და შეფასება, ეს გარემობა მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის ხარისხზე და ორიენტირებულია მიუკერძოებელი და ობიექტური დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პროგრამის მოდიფიცირება.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის“ (შემდეგი - ქაუ) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამის დანიშნულებაა სახელისუფლებო და თვითმმართველობის სისტემაში შემავალი და კერძო სტრუქტუ რისთვის იურისტის კვალიფიკაციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. აღნიშნულის განსახორციელებლად, ქაუ-ს საბაკალავარო პროგრამაში ნათლად არის ჩამოყალიბებული როგორც ზოგად აბსტრაქტული, ისე ძალზე კონკრეტული მიზნების ჩამონათვალი, კერძოდ პროგრამამ ბაკალავრს: ა) უნდა შეასწავლოს სამართლის პოლიტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული,

საზოგადოებრივი და ეკონომიკური ასპექტები; ბ) გამოუმუშავოს სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობისას ეფექტურად გამოყენების და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევის უნარი; გ) გამოუმუშავოს კვლევით ნაშრომებზე მუშაობის უნარი; დ) გამოუმუშავოს იურიდიული ხასიათის დოკუმენტებზე მუშაობის უნარი; ე) გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკის ფარგლებში მოქმედების უნარი; ვ) ჩამოუყალიბოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების უნარი, მაღალი სოციალური და მორალური პასუხიმგებლობა.

პროგრამაში გაწერილი მიზნები რეალური, მიღწევადი და გაზომვადია როგორც ცოდნა-გაცნობიერების, ისე კომპეტენციის და ღირებულებით ნაწილში. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს - პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მისასალმებელია განვითარების სამსახურის მკვლევარების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზი, დამსაქმებელთა გამკითხვა, ასევე იურდიული ფირმების ასოციაციისთვის მიმართვა პროგრამისთვის ალტერნატიული აკრედიტაციის ჩატარების მიზნით.

ქაუ-ს სამართლის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ინტერნაცინალიზაციაზე, რისი დასტურიცაა უნივერსიტეტის ჩართულობა ერასმუსის პროგრამაში და მის მიერ გაფორმებული რეფერენდუმები პარტნიორ

უნივერსიტეტებთან. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მიმდინარე პერიოდში ერმასუსის პროგრამით სარგებლობს საერთაშორისო ურთიერთობის სტუდენტები, მაგრამ ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება სამართლის სკოლის სტუდენტების გაგზავნაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; ❖ სამართლის საბაკალავრო პროგრამა/გეგმა; ❖ მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან; ❖ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ❖ შრომის ბაზრის ცალკეული ასპექტები/ანალიზი; ❖ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✔ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქაუ-ს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია სამართლის საბაკალავრო პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში. სწავლის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხიმგებლობას და ავტონომიურობას. პროგრამაში მონაწილე პერსონალის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა რეალისტურია და შეესაბამება საბოლოოდ მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც აღწერილია როგორც შეფასების პროცესი, ისე ყველა მეთოდი, ინსტრუმენტი და სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის,

რომლის საფუძველზეც ხორციელდება შეფასება, ასევე სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ქაუ-ს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. პროგრამის აკადემიური/ მოწვეული პერსონალს ეცნობება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების და შედეგების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; ❖ სამართლის საბაკალავრო პროგრამა/გეგმა; ❖ გამოკითხვის შედეგები; ❖ აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ❖ შრომის ბაზრის ცალკეული ასპექტები/ანალიზი; ❖ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✔ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	ამისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პიროვნებების პროგრამაში ჩართვას. როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული, ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამაზე მიღების გამოცხადების და კონკურსის შესახებ იდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, აგრეთვე ეგზავნება შესაბამის სამსახურებს და ქვეყნდება საჯაროდ. უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ თვითშეფასების დოკუმენტში ჩამოთვლილია სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს, რომელებიც ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს. დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამა განსაზღვრევს როგორც შიდა, ისე გარე მობილობის წესს, რომელიც სრულად მოდის კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან შესაბამისობაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი შესაძლებლობას უშვებს შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სამართლის საბაკალავრო პროგრამა; ● სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ● უნივერსიტეტის ვებგვერდი. ● თვითშეფასების დოკუმენტი
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა შედგენილია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და ასევე გათვალისწინებულია თანამედროვე შეხედულებები და მიმართულებები, პროგრამა შეესაბამება ბაზრის მთხოვნებს და სრულად ასახავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ასევე პროგრამაში წარმოდგენილი სწავლა - სწვლების მეთოდები შეესაბამება სტანდარტებს. მათი გამოყენებით კონკრეტული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება სამუშაო პროცესის წარმართვა. პროგრამა და შესაბამისად კონკრეტული საგნის სილაბუსები ითვალისწინებს შემდეგ სწავლა - სწავლების მეთოდებს: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, სასწავლო პრაქტიკა, საშინაო დავალება/რეფერატი, ესე, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ პროფესორი შესაძლოა იყენებდეს პროგრამით განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. **პროგრამა**, ერთი მხრივ, ორიენტირებულია თეორიული ცოდნის, საჯარო/კერძო/სისხლის/საერთაშორისო სამართლის შესწავლასა და მეორე მხრივ სთავაზობს მიღებული და დაგროვილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

პროგრამის სტრუქტურა მოწყობილია იმგვარად, რომ სტუდენტს უადვილდება შემდეგ სასწავლო სემესტრში სწავლის გაგრძელება, რადგან მის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტი მას შესაძლებლობას აძლევს დაძლიოს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი დისციპლინა. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს 240 კრედიტი. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი

კომპონენტებისაგან. არჩევით კომპონენტში შედის როგორც სასწავლო კურსები, ისე პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტი. პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კრედიტსაც.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი, 8 სემესტრი. წლის განმავლობაში სტუდენტი საშუალოდ აგროვებს 60 კრედიტს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვის არსებობასაც, ამ შემთხვევაში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სტუდენტი აგროვებს 205 კრედიტს, ხოლო არჩევითი კომპონენტი შეადგენს 35 კრედიტს, საიდანაც 11 კრედიტი სავალდებულოა დააგროვოს არჩევითი საგნებიდან ზოგადი უნარების განსავითარებლად; 24 კრედიტმა შეიძლება დააგროვოს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

პროგრამიდან გამომდინარე,უნდა აღინიშნოს, რომ არჩევითი კომპონენტები მოიცავს:

1. სასწავლო კომპონენტს, რომელიც თავის მხრივ იყოფა: ზოგადი უნარების განსავითარებელ სასწავლო კურსებად - 28 კრედიტი, სპეციალობის სასწავლო მოდულების (კერძო/ბიზნეს სამართლის მოდული - 33 კრედიტი, სისხლის სამართლის მოდული - 33 კრედიტი, საჯარო სამართლის მოდული - 48 კრედიტი, საერთაშორისო სამართლის მოდული - 30 კრედიტი) სასწავლო კურსებად - 147 კრედიტი, დარგთაშორისი კონცენტრაციის სასწავლო კურსებად - 27 კრედიტი და გაძლიერებული ინგლისური ენის სასწავლო კურსებად - 6 კრედიტი.
2. კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომი, რომელით არჩევითადაა წარმოდგენილი პროგრამაში)- 6 კრედიტი; პრაქტიკულ კომპონენტს (იურიდიული კლინიკა) - 6 კრედიტი;

პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების კომპონენტი განისაზღვრება 9 კრედიტით.

პროგრამაში პრერეკვიზიტების სისტემა ლოგიკურად არის აგებული, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას დაძლიოს შემოთავაზებული სავალდებულო საგნები. პროგრამაში უხვად არის წარმოდგენილი არჩევითი საგნები, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს მისი ინტერესების შესაბამისად დაგეგმოს სემესტრი. ასევე ხაზი უნდა გაესვას პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობას პროგრამაში. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა პრაქტიკა გაიაროს უნივერსიტეტის სამართლის კლინიკაში, რომელიც გამართულად ფუნქციონირებს და ასევე უნივერსიტეტი სტუდენტს თავაზობს ორგანიზაციების დიდ ჩამონათვალს, სადაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაიაროს პრაქტიკა, რაც რეალურ გამოცდილებას აძლევს სტუდენტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი ○ ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ○ ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ - ის სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსები და მათი სწორი თანაფარდობით გამოყენება უზრუნ ველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიხედვით, არჩევით ნაწილში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს მისი ინტერესების მიხედვით შესაბამისი დისციპლინა, ამას ხელს უწყობს პროგრამაში წარმოდგენილი არჩევითი საგნების მრავალფეროვნება. პროგრამაშ გათვალისწინებულსაგნებს (სავალდებულო, არჩევითი) მინიჭებული აქვს

კრედიტები, გვხვდება 3, 4 და 5 კრედიტიანი საგნები, უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტები გადანაწილებულია კონკრეტული საგნის მოცულობიდან გამომდინარე, რაც მისასალმებელია და შესაბამისობაში მოდის რეგულაციებთან. მაგალითისთვის საგანი - ,,კრიმინოლოგიის საფუძვლები", ,,მედია სამართალი", ,,საერთაშორისოსაფაერო სმართალი" მინიჭებული აქვს 3 კრედიტი, ამ საგნების სილაბუსების შენაარსის, ასათვისებელი მასალისა და დატვირთვის შესწავლის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ რომ კრედიტების რაოდენობა სრულად შეესაბამება კურსის მოცულობას. იგივე ვითარებაა ოთხ კრედიტიან საგნებთან დაკავშირებით, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ,,ადმინისტრაციულისამართლის ზოგადი ნაწილი" და ,,სამართლის მეთოდები". რაც შეეხება ხუთ კრედიტიან საგნებს, ყველაზე მეტი პროგრამაში სწორედ ამ მოცულობის საგნებია წარმოდგენილი, მათი დეტალური შესწავლითა და მოცულობის შეფასებით დგინდება, რომ ასათვისებელიმასალა სრულად შესაბამისობაშია კდედიტების რაოდენობასტან, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ,,საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი", ,,სანივთო (ქონებრივი) სამართალი". ექვსი კრედიტი მინიჭებული აქვს პრაქტიკას, რომელიც მოიცავს 128 საკონტაქტო და 28 დამოუკიდებელ სამუშაო საათს. აქვე ხაზი უნდა გაესვას და აღინიშნოს, რომ პროგრამაში წარმოდგენილი აქვს დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, როგორიცაა: "ინტერნეტ(კიბერ) სივრცის სამართალი"; "არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის თავისებურებები საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით", უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით და პერიოდულად ხდება საგნების დამატება.

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

რაც შეეხება კრედიტების რაოდენობასა და კონკრეტული კურსისი სწავლის შედეგებს, უნდა ითქვას, რომ კონკრეტული კურსის შინაარსი, მისი მოცულობა და კრედიტების რაოდენობა სრულად მოდის ერთმანეთთან შესაბამისობაში. მთლლიანობაში, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, რათა მიიღოს ბაკალავრის ხარისხი. უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ელექტრონული ბაზები, როგორიცა: EBSCO HOST Cambridge Journals Online BioOne Complete e-Duke Journals Scholarly Collection Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books IMF eLibrary New England Journal of Medicine Royal Society Journals Collection SAGE Premier IMechE Journals. ეს მოცემულობა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს საბაკალავრო დონეზე გადადგას პირველი ნაბიჯები კვლევის მიმართულებით და რესურსის თვალსაზრისით არ შეიზღუდონ თავი, ასევე უნივერსიტეტს გააჩნია ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია არა მხოლოდ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ლიტერატურა, არამედ ბევრი იშვიათი და ძვირადღირებული უცხოენოვანი წიგნი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში

- ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
- უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზები
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ❖ პროგრამაში ინტეგრირებულია დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, როგორიცაა: "ინტერნეტ(კიბერ) სივრცის სამართალი"; "არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის თავისებურებები საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით"; "შედარებითი სამართალი პრეცედენტული მნიშვნელობის სასამართლო გადაწყვეტილებების კონტექსტში" და სხვ. დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსების გათვალისწინებით პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთჰარმონიულია და ერთმანეთს განაპირობებენ, ამავდროულად, სწავლის შედეგები ზუსტად გამომდინარეობს თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებებიდან.

- ○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

შეფასება

0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკულ კომპონენტს, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ პრაქტიკა გაიარონ და ჩაერთონ სამართლის კლინიკის საქმიანობაში, რომელიც მუშაობს გამართულად და რეალურად აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს მიიღოს დიდი პრაქტიკული გამოცდილება. კლინიკის საქმიანობა ორიენტირებულია სოციალურად დაუცველებს და სამხედროებს გაუწიოს იურიდიული დახმარება. სტატისტიკის მიხედვით, რომელსაც კლინიკა აწარმოებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში კლინიკამ იურიდიული დახმარება გაუწია დაახლოებით 35 ბენეფიციარს, საიდანაც 13 იყო სამხედრო მოსამსახურე, ხოლო 8 სოციალურად დაუცველი, კლინიკის ხელმძღვანელის განმარტებით, საქმეების ნაწილი მოცულობითია და მისი დამუშავებისთვის კლინიკის საქმიანობაშ ჩართული სტუდენტები ჯგუფურად მუშაობენ.

ასევე უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემარანდუმები სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, ამ მემორანდუმების საფუძველზე ხდება სტუდენტების გაგზავნა პრაქტიკაზე. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოიყენონ ის თეორიული ცოდნა, რაც მათ მიიღეს სწავლის

პროცესში და ასევე გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს კვლევით საქმიანობას და საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს საბაკალავრო პროგრამის დონეზე აძლევს შესაძლებლობას გადადგან პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით მაქსიმალურად ჩაერთონ სხვადასხვა კვლევით პროექტებში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ბოლო სასწავლო სემესტრში აირჩიოს საბაკალავრო ნაწრომი.

უნივერსიტეტი ორგანიზებას უკეთებს იმიტირებულ პროცესებს და საჯარო ლექციებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქტივობების ხარისხი კონტროლდება,ხარისხის სამსახური ახდენს მონიტორინგს, ასევე აქტივობებთან დაკავშირებით ხდება სტუდენტებისა და იმ ლექტორების გამოკითხვა, რომლებიც ჩართულნი არიან პროცესში. აღნიშნული გარანტიაა იმისა, რომ სტუდენტისათვის მიწოდებული პროდუქტი სრულ შესაბამისობაში იქნება მოთხოვნებთან.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მათი ინტერესების სფეროს შესაბამისად იყვნენ ჩართულნი ყველა ამ აქტივობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

ვრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს გამორჩეულ და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლება - სწავლის მეთოდებ ს, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, სასწავლო პრაქტიკა, საშინაო დავალება/რეფერატი, ესე, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. ამ მეთოდების შერჩევა კონკრეტულ სასწავლოკურსთან მიმართებაში ხდება საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, რეგულაციების დაცვის საფუძველზე,

ამდაგვარად ჩამოყალიბებული სწავლა - სწავლების მეთოდების შერჩევის მთავარი მიზანია მაქსიმალურად ჩართოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობებში. პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკულ აქტივობებზე და ცდილობს სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მაქსიმალურად კონკურენტუნარიანი გახადოს შრომით ბაზარზე.

სწავლების შედეგების მისაღწევად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორცილებისას ხდება ადეკვატური მეთოდების შერჩევა, თანმიმდევრულად - სწავლის მიზნების, შედეგების, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლება- სწავლის მეთოდები სრულ შესაბამისობაში მოდის ბაკალავრიატის საფეხურთან, ასევე თითოეული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს და სრულად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევისკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისობაშია, რაც დასტურდება სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით.

წარმოდგენილ სილაბუსებში შეფასებები დეტაულურადაა ჩაშლილი, ჩანს აკადემიური პერსონალის ინდივიდუალიზმი, რაც მიუთითებს, რომ შეფასების ნაწილი მათ მიერ არის დამუშავებული, ასევე აღნიშნულ ნაწილში გათვალისწინებულია კონკრეტული საგნების სპეციფიკა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე საგანი, კერძოდ, ,,პროფესიული ეთიკა", რომლის შეფასების კრიტერიუმებში გათვალისწინებულია როლური თამაშები, დისკუსია, პრეზენტაცია და კაზუსების ამოხსნა, აღსანიშნავია, რომ ეს შეფასების კრიტერიუმები სრულად მოდის შესაბამისობაში სასწავლო კურსის შინაარსთან და უზრუნველყოფს შედეგების სრულად მიღწევას. იგივე შეიძლება ითქვას ,, სისხლის სამართლი (კერძო ნაწილი-II)", ამ სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასება ხდება ზეპირი გამოკითხვით, დისკუსიით და კაზუსებით, ამ კომპონენტების ერთობლიობა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე უზრუნველყოფს სტუდენტის რეალურ შეფასებას. ასეთი ფორმით სტუდენტების შეფასების ნაწილის დამუშავება სილაბუსებში სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ იცოდეს თუ როგორ და რა კრიტერიუმების მიხედვით შეფასდება კონკრეტულ საგნებში. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისობაშია, რაც დასტურდება სილაბუსებით, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ○ ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან სილაბუსები
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება 0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	ამისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის	X			

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
